დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო

აცხადებს ღია კონკურსს

1. თანამდებობის დასახელება: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორი;

2. კატეგორია: ხელმძღვანელი თანამდებობა;

3. სამუშაოს ადგილმდებარეობა: ქალაქი ბათუმი;

4. განაცხადების წარდგენის ვადა: 2022 წლის 6 ოქტომბრიდან 2022 წლის 4 ნოემბრის ჩათვლით;

5. განაცხადი მიიღება:

ა) ქალაქი ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა N41, სამუშაო დღის 10 საათიდან 18 საათამდე:

ბ) ელექტრონულ მისამართზე ajaratvboard@gmail.com

6. საქმიანობის დაწყების თარიღი: 2022 წლის 22 ნოემბერი;

7. საქმიანობის ვადა 3 წელი;

8. კონკურსში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს: საქართველოს მოქალაქე; საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი; მას უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილების, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა 3 წლის და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო - პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება;

9. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

9.1. განცხადება;

9.2. პირადობის მოწმობის, პასპორტის ან ID ბარათის ასლი;

9.3. მაგისტრის ანდა მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

9.4. სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ოფიციალურად დამოწმებული ასლ(ებ)ი;

9.5. მატერიალური ფორმით განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (დანართები) შეიძლება წარმოდგენილი იქნას ასლის სახით დედანთან ერთად (შესადარებლად), ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი განცხადების დანართები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად, რომელშიც შესაძლებელი იქნება სანოტარო აქტების საიდენტიფიკავიო კოდების (ნომრების) ამოკითხვა.

10. თანამდებობრივი სარგო (შრომის ანაზღაურება): 3300 ლარი;

11. ფუნქციები: დირექტორი ხელმძღვანელობს ,,მაუწყებლობის შესახებ'' სქართველოს კანონით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულებით და დირექტორსა და მრჩეველთა საბჭოს შორის გაფორმებული შრომით ხელშეკრულებით, წარმართავს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობას, წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

12. კონკურსის ეტაპები: ა) განცხადების გადარჩევა; ბ) გასაუბრება;

13. გადაწყვეტილების მიღების ვადა: არა უგვიანეს 2022 წლის 14 ნოემბრისა;

14. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: +99577232607

15. საკონტაქტო პირი: მრჩეველთა საბჭოს აპარატის საქმისწარმოების მენეჯერი, ნათია ხუნდაძე;

შენიშვნა:

1. განაცხადის რეგისტრაციისთანავე დაინტერესებულ პირზე გაიცემა სარეგისტრაციო ფურცელი.

2. არასრულყოფილად დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე.

3. განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული დამოწმებული თარგმანი.

4. განცხადებების მიღება და შეფასება ხდება, კანონმდებლობით დადგენილი და მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის

(არჩევის) წესის (დამტკიცებული, მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 16 სექტემბრის N01-01-20 გადაწყვეტილებით) მიხედვით, რომლის მოთხოვნების შესრულება აუცილებელია.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო’’-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესის

1. ზოგადი დებულებანი

1.1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო’’-ს (შემდგომში ,,მაუწყებელი’’) დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის ზოგადი წესი განსაზღვრულია ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში ,,კანონი“);
1.2. წინამდებარე წესი აკონკრეტებს მაუწყებელის დირექტორის (შემდგომში ,,დირექტორი“) თანამდებობაზე დანიშვნის კანონით განსაზღვრულ ზოგად პროცედურებს;
1.3. დირექტორს თანამდებობაზე სამი წლის ვადით ნიშნავს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო ღია კონკურსის წესით;
1.4. დირექტორის დანიშვნისას მრჩეველთა საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპებია: გამჭვირვალობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა;

2. კონკურსის გამოცხადება

2.1. მაუწყებლის დირექტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში - უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, მრჩველთა საბჭო აცხადებს ღია კონკურსს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად;
2.2. დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ მრჩეველთა საბჭოს გადაწყეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე მრჩევლების ხმების უმრავლესობით;
2.3. დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება დაუყონებლივ უნდა გამოქვეყნდეს მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. კონკურსის შესახებ განცხადება მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით ასევე შესაძლებელია გავრცელდეს სხვა საშუალებებით;

3. განაცხადების მიღება

3.1. დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად განცხადებების წარდგენის ვადა 30 კალენდარული დღეა კონკურსის გამოცხადებიდან. დაუშვებელია აღნიშნული ვადის ცვლილება;

3.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადების წარმოდგენა შეუძლია როგორც მატერიალური (ფიზიკური), ასევე ელექტრონული ფორმით;

3.3. მატერიალური ფორმით განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (დანართები) შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ასლის სახით დედანთან ერთად (შესადარებლად), ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი განცხადების დანართები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად, რომელშიც შესაძლებელი იქნება სანოტარო აქტების საიდენტიფიკაციო კოდების (ნომრების) ამოკითხვა;

3.4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს: განაცხადი, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადამიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი,არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილების, მათ შორის,ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშობის სულ ცოტა 3 წლისა და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანკლებ 5 წლიანი მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები;

3.5. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ განაცხადში უნდა აღინიშნოს: ა). განმცხადებლის სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო მონაცემი (პირადი ნომერი), ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი; ბ). განცხადების შინაარსში ნათლად უნდა იყოს გაკეთებული მითითება მასზედ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს; გ). განცხადებაში უნდა აღნიშნოს და დაჯამდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჟურნალისტიკის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში სამუშაო გამოცდილება, თითოეული ცალკ-ცალკე; დ) განმცხადებლის თანხმობა, რომ ის იცნობს/ეთანხმება კონკურსის პირობებს და თანახმაა წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის გასაჯაროებაზე;

3.6. დაინტერესებულმა პირმა წარმოდგენილ განაცხადს უნდა დაურთოს: ა). პირადობის მოწმობის, ID ბარათის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი; ბ). მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. ამ ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხის მაგისტრის ხარისხთან შესაბამისობა დგინდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. თუ ამ პუნქტით გათვალისწინებული აკადემური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) გაცემულია განაცხადის წარმოდგენის დროისთვის არააკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“-ს მიერ გაცემული დამოწმება წამოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობაზე. თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია საზღვარგარეთ არსებული უმაღლესი სასწავლებლ(ებ)ის მიერ, აუცილებელია განხორციელდეს მისი ნამდვილობის დადასტურება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ). მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა უნდა განხორციელდეს დედანის ანდა კანონმდებლობით დადგენილი წესით ოფიციალურად დამოწმებული ასლის სახით. ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი გაცემული უნდა იყოს შესაბამისი დაწესებულებების მიერ. მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია საზღვარგარეთ, მისი წარმოშობის ნამდვილობის დამოწმება უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.7. დაინტერესებული პირის განაცხადის მიღება (როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური) დასტურდება სარეგისტრაციო ფურცლით, რომელიც გაიცემა განაცხადის რეგისტრაციისთანავე;
3.8. ამ მუხლით გათვალისწინებული სარეგისტრაციო ფურცელში, აღნიშნული უნდა იყოს: ა). განცხადების რეგისტრაციის ნომერი; ბ). განცხადების წარმოდგენის თარიღი/დრო; გ). წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი; დ). განაცხადის მიღებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა;
3.9. განცხადებ(ებ)ის წარმოდგენის ვადის ამოწურვისთანავე მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდ(ებ)ზე ქვეყნდება დაინტერესებული პირების სრული სია;

4. განაცხადების განხილვა

4.1. დაინტერესებული პირების განაცხადის წარმოდგენის ვადის დასრულებიდან არა უგვიანეს სამი კალენდარული დღისა მაუწყებლის მრჩველთა საბჭო სხდომაზე განიხილავს წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობას კანონითა და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან;
4.2. თითოეულ დაინტერესებულ პირზე მრჩეველთა საბჭო მსჯელობს ცალ-ცალკე და ინდივიდუალურად უყრის კენჭს;
4.3. განაცხადის წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს სამი კალენდარული დღისა მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქვეყნდება კანდიდატების სია, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება კანონითა და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;
4.4. თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება კანონს ან/და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, მრჩეველთა საბჭო უარს აცხადებს დაინტერესებული პირის კანდიდატად რეგისტრაციაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს მოთხოვნისას არა უგვიანეს სამი კალენდარული დღისა გადაეცემა მრჩველთა საბჭოს სხდომის ოქმი;

5. დირექტორის დანიშვნა (არჩევა)

5.1. მაუწყებლის დირექტორის დანიშვნის შესახებ მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე მრჩეველთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას თითოეულ მრჩეველს აქვს 1 (ერთი) ხმა;
5.2. მაუწყებლის დირექტორად დანიშნულად (არჩეულად) ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც დააგროვა ყველაზე მეტი ხმა, მაგრამ არანაკლებ სხდომაზე დამსწრე წევრების უმრავლესობისა;
5.3. დირექტორის დასანიშნად (ასარჩევად) მრჩველთა საბჭოს სხდომის ჩატარების წესი განსაზღვრულია კანონითა და მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტით;
5.4. თუ პირველი კენჭისყრის შედეგად ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა კანონითა და ამ წესით განსაზღვრული საჭირო ხმების ოდენობა, უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატის მონაწილეობით იმართება ხელახალი კენჭისყრა;

5.5. თუ პირველი კენჭისყრის დროს არგამოვლინდა ორი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი, განმეორებით კენჭისყრაში კანდიდატის სტატუსით სარგებლობს ყველა ის პირი, რომელმაც ერთი ხმა მაინც მიიღო;
5.6. თუ ხელახალი (განმეორებითი) კენჭისყრით ვერ გამოვლინდა გამარჯვებული კანდიდატი, კონკურსი ჩაშლილად ცხადდება;
5.7. ამ მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ კენჭისყრამდე მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია თითოეულ კანდიდატთან გამართოს გასაუბრება, მაუწყებლის განვითარების ხედვაზე;
5.8. დირექტორობის კანდიდატების მაუწყებლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან მომდევნო შვიდი დღის ვადაში მრჩეველთა საბჭო ნიშნავს დირექტორს;

6. **განმეორებითი კონკურსის გამოცხადება**

6.1. თუ ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ვერ განხორციელდა გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა ან/და კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა მრჩეველთა საბჭო, არა უგვიანეს სამი კალენდარული დღისა, აცხადებს განმეორებით კონკურსს მაუწყებლის დირექტორის დასანიშნად (ასარჩევად);
6.2. განმეორებითი კონკურსი ტარდება წინამდებარე წესითა და პროცედურებით;

7. **ჩაშლილი კონკურსი**

კონკურსი ცხადდება ჩაშლილად:

ა) დაინტერესებული პირების მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი ან/და მათ მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება კანონს და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;
ბ) მრჩეველთა საბჭოს მიერ კანონით დადგენილ ვადაში არ მოხდა დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების განხილვა;
გ) დირექტორობის კანდიდატების მაუწყებლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან მომდევნო შვიდი დღის ვადაში ვერ შეიკრიბა მრჩეველთა საბჭო ან/და არ შედგა კვორუმი.

8. **დასკვნითი დებულებები**

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ხორციელდება მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით.